პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (9339)

14 სექტემბერი. კვირა, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში პადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მეთხუთმეტე პარტია

გარი კასპაროვმა ამ მატჩში უკვე მეშვიდედ მიმართა გრიუნფელდის დაცვას. ანატოლი კარპოვმა, რომელიც ახლა ყველა ღონეს ხმარობს მდგომარეობის გამოსასწორებლად, უკვე მე-5 სვლაზე მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი ირჩევს გრიუნფელდის დაცვის ე. წ. სმისლოვის ვარიანტს, რომელიც ექსჩემპიონმა რამდენიმე ათეული წლის წინ დაამუშავა. ამ გზით კასპაროვმა შეძლო შავებით შედარებით იოლად გაეთანაბრებინა პოზიცია. ხოლო მრავალრიცხოვანი გაცვლის შემდეგ დაფაზე საყაიმო პოზიცია წარმოიშვა. ექსჩემპიონის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

**გრიუნფელდის დაცვა**

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 კg7 5. ლb3 dc 6. ლ:c4 0—0 7. e4 კg4 8. კe3 მfd7 9. ეd1 მc6 10. კe2 მb6 11. ლc5 ლd6 12. e5 ლ:c5 13. dc მc8 14. მb5 ეb8 15. მ:c7 e6 16. მb5 მ8e7 17. ეd2 b6 18. cb ab 19. კg5 მf5 20. b3 h6 21. კf6 კ:f3 22. კ:f3 მ:e5 23. კ:e5 კ:e5 24. 0—0 ეfd8 25. ეfd1 ე:d2 26. ე:d2 ეc8 27. g3 28. მფg2 მფf8 29. კe4 მფe7. ყაიმი.

ამრიგად, მატჩ-რევანშის ანგარიში გახდა 8,5:6,5 გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები გიორგი ჩოჩიშვილი და ჯემალ კასრაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

# სხვადასხვა მიზანი, სხვადასხვა განწყობილება

**მოსკოვში,** IX საკავშირო სპარტაკიადაზე მოასპარეზე საქართველოს ნაკრები გუნდების ერთმა ნაწილმა უკვე დაამთავრა შეჯიბრება. თითოეული მათგანის წევრები სხვადასხვა განწყობით ბრუნდებიან შინ, — იყო წარმატებებიც და წარუმატებლობის შემთხვევებიც. ყოველ გუნდს თავისი კონკრეტული ამოცანა და მიზანი ჰქონდა და გამოსვლის ავ-კარგიანობა, ცხადია, იმის მიხედვით უნდა შეფასდეს თუ რამდენად მიუახლოვდნენ მიზანს ან შეასრულეს ის. (აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ გუნდს თავიდანვე საკმაოდ მოკრძალებული გეგმა ჰქონდა დასახული). რას ვიზამთ, ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიხდება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში დაკარგული პოზიციის დაბრუნება, ან ჩვენთვის შედარებით ახალი სახეობის ათვისება და განვითარება. ამიტომ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ძირითადად სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი საქართველოს სპორტული დელეგაციის მორიგ კრებაზე, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა სასტუმრო „ოსტანკინოში". საზეიმო ვითარებაში საჩუქრებით დააჯილდოვეს ცალკეული სპორტსმენები და გუნდები, რომლებსაც თუმცა საპრიზო ადგილები არ დაუკავებიათ, მაგრამ დასახული გეგმა პირნათლად შეასრულეს. გამომსვლელებმა ჯეროვნად შეაფასეს ჩვენი ბალახის ჰოკეისტთა გამოსვლა. გუნდს, რომლის ფინალში გასვლა ბევრს ეეჭვებოდა, არც შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე დაუყრია ფარ-ხმალი და საბოლოოდ მე-6 ადგილი ერგო. თავიანთი შესაძლებლობები სრულიად გამოავლინეს ძალოსნებმა. კრებაზე შეაქეს ჩვენი მოფარიკავეებიც, თუმცა ისიც ითქვა, რომ სპორტის ამ სახეობაში საქართველოს მუდამ კარგი ტრადიციები ჰქონდა და ახლა ჩვენი მუშკეტერების ამოცანა სწორედ ამ ტრადიციების აღდგენაა. წარმატება მიულოცეს ჩვენს ვაჟთა ოთხეულს, რომელმაც 4X100 და 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შესაბამისად V და VI ადგილები დაიკავა და ნაკრებს ქულათა სოლიდური მარაგი (68) შესძინა.

მართალია წყალბურთელთა ტურნირი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ უკვე ნათელია, რომ საქართველოს ნაკრები კარგადაა მომზადებული ამ შეჯიბრებისთვის. ამაში გუნდმა ქვეჯგუფის ორივე მატჩში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებებით დაგვარწმუნა (აღსანიშნავია, რომ ბომბარდირთა სიას 14 გატანილი ბურთით ლიდერობს დიმიტრი რამიშვილი, რომელმაც უზბეკ სპორტსმენებთან შეხვედრაში 9-ჯერ აიღო მეტოქის კარი). მიუხედავად იმისა, რომ ასპარეზობის ფინალურ ეტაპზე უფრო ძლიერ მეტოქეებთან მოუწევთ ბრძოლა, გამოითქვა რწმენა, რომ ჩვენს წყალბურთელებს სპარტაკიადის ყველაზე მაღალი ჯილდოებისთვის შეუძლიათ იბრძოლონ.

კრების დამთავრების შემდეგ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს საინტერესო შეხვედრა ელოდათ „ლიტერატურნაია გაზეტას" მე-16 გვერდის წარმომადგენლებთან. მსმენელთა წინაშე წარსდგნენ კლუბ „12 სკამის" ადმინისტრატორები, მოსკოველი იუმორისტები ვლადიმერ ვოლინი, პაველ ხმარა, ვალერი კრასკო. ჩვენი დელეგაციის შტაბ-ბინაში კარგა ხანს არ დამცხრალა გულიანი სიცილი და მქუხარე აპლოდისმენტები.



კარგად იასპარეზა ჩვენმა ვაჟთა კვარტეტმა 4X100 და 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მარცხნიდან: სერგეი მაკაროვი, ალექსანდრე გორბუნოვი, სერგეი კოშკო და ვიაჩესლავ კოზლოვი.

12 სექტემბერს ასპარეზობა დაამთავრეს ბალახის ჰოკეისტებმა და მოფარიკავეებმა. მუშკეტერთა შეჯიბრების ბოლო სახეობა — დაშნით მოფარიკავეთა გუნდური პირველობა ჩვენთვის უიღბლოდ წარიმართა. საქართველოს ნაკრებმა აქ მე-13 ადგილი დაიკავა. ოთხი სახეობის ჯამში, ე. ი. საერთო გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენმა მოფარიკავეთა ნაკრებმა მე-7 ადგილი დაიკავა. ასპარეზობის დასასრულს

იხ. მე-2 გვ.

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# შეცდომების ფასად

**როგორც** იცით, ა. სოკოლოვ — ა. იუსუპოვის მატჩის მეხუთე პარტია სოკოლოვისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო. მას მოგების რეალური შანსიც ჰქონდა, მაგრამ თამაშის განახლების დღეს გაუგებარი რამ მოხდა, სოკოლოვმა მეტად უფერულად წარმართა პარტიის დასკვნითი ნაწილი, 64-ე სვლის შემდეგ კი საერთოდ დაკარგა მოგების შესაძლებლობა. იუსუპოვმა, რომელიც მისთვის ჩვეული შეუპოვრობით იცავდა თავს, საწადელ ყაიმს მიაღწია. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3,5:1,5 არტურ იუსუპოვის სასარგებლოდ.

## „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ვაჟ კალათბურთელთა პირველობა

# ერთმა ქულამ გადაწყვიტა

**„დინამოს"** ცენტრალური საბჭოს კალათბურთელთა პირველობის მეორე დღეს თბილისის დინამოელები თავიანთ ფრუნზელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები რანგითაც და თამაშის კლასითაც მეტოქეზე მაღლა დგანან (ფრუნზეს გუნდი პირველი ლიგის ბინადარია), მათთვის ყირგიზეთის დედაქალაქის კალათბურთელები საკმაოდ უხერხული მეტოქე აღმოჩნდა.

გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმი სტუმრებმა სამი ქულის სხვაობით მოიგეს — 44:41. შესვენების შემდეგ დინამოელები, რომლებიც კვლავ თავიანთი ლიდერის, ნიკოლოზ დერიუგინის გარეშე თამაშობდნენ, ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 89:90.

მანამდე კი ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ჩელიაბინსკის დინამოელები. მოსკოველ კალათბურთელთა უპირატესობა ამ მატჩში საგრძნობი იყო. მათ ყველა კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და 47 ქულის სხვაობით დაამარცხეს იგი — 127:80 (72:46).

ორი ტურის შემდეგ მოსკოვის „დინამოს" ორი გამარჯვება აქვს, თბილისელებსა და ფრუნზელებს — თითო, ხოლო ჩელიაბინსკელმა კალათბურთელებმა ორივე მატჩი წააგეს.



მიმდინარეობს საშემოდგომო გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის საკავშირო ერთთვიური.

დღეს თბილისში მორბენლის საკავშირო ერთთვიურისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი მოეწყობა. ამ გარბენის მარშრუტის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. ახლა კი შეგახსენებთ, რომ სტარტი ლენინის სახელობის მოედანზეა დანიშნული, ფინიში კი „გამარჯვების პარკში" შედგება.

შეჯიბრება, რომელსაც ქალაქის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი აწყობს, 11 საათზე დაიწყება.



თამაშობენ თბილისისა და ფრუნზეს თანაკლუბელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა



საქართველოსა და უზბეკეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის ეპიზოდი. ეს მატჩი ქართველმა წყალბურთელებმა დიდი ანგარიშით 19:9 მოიგეს და ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს. დიმიტრი რამიშვილმა სწორედ ამ შეხვედრაში ისახელა თავი — ცხრაჯერ აიღო მეტოქის კარი.

## დაგეგმილზე ოთხი ქულით მეტი

**პარასკევს** იზმაილოვოს სპორტის სასახლეში 110 კგ წონითი კატეგორიის ძალოსანთა ასპარეზობაზე ჩვენი გუნდის ბოლო წარმომადგენელი კობა ტალახაძე გამოვიდა. მან ორჭიდში 352,5 (167,5 + 185) კგ მოაგროვა, მე-10 ადგილზე გავიდა და გუნდს 7 ქულა შესძინა. ამრიგად, საქართველოს ძალოსანთა ნაკრებმა 53 ქულა, დაგეგმილზე ოთხი ქულით მეტი მოაგროვა.

ამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა რუსეთის ფედერაციის ნაკრების წევრმა იური ზახარევიჩმა ორჭიდის ჯამში საკავშირო მიღწევაც გააუმჯობესა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ატაცში ჭაბუკთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორჯონიკიძელმა არტურ აკოევმა.

**ტექნიკური შედეგები:**

1. **იური ზახარევიჩი (რსფსრ) 445 კგ;**
2. **სერგეი ნაგირნი (უკრაინა) 427 კგ;**
3. **არტურ აკოევი (რსფსრ) 407,5 კგ.**

გუშინ მძიმეწონოსანთა (110 კგ და მეტი) ასპარეზობით დამთავრდა ძალოსანთა სასპარტაკიადო შეჯიბრება.

## სხვადასხვა მიზანი, სხვადასხვა განწყობილება

დასასრული

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს მორის სახვაძეს ვთხოვეთ შეეფასებინა გუნდის გამოსვლა.

— ასეთი ახალგაზრდული გუნდით, როგორიც ჩვენ გვყავს, უკეთეს შედეგს ვერც მივაღწევდით, იქნებ დაშნით მოფარიკავეებს მეტის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ... რაც მთავარია, დასახული ამოცანა შევასრულეთ. ჩვენ ხომ მხოლოდ რვა საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვედრას ვვარაუდობდით. ფარიკაობის ცალკეულ სახეობებში მოასპარეზე სპორტსმენთაგან პირველ რიგში ხმლით მოფარიკავეები უნდა გამოვყოთ. გუნდი ყველგან გამოირჩეოდა. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ამ ხუთეულის მომზადებას და, როგორც ხედავთ, არც შევმცდარვართ. რაპირაში და დაშნაში კი, უფრო ახალგაზრდა, გამოუცდელი სპორტსმენები გვყავდა. თუ რატომ მოხდა ასე, ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. სპარტაკიადაზე ჩვენი 17-18 წლის მოფარიკავეები ცალკეულ შეხვედრებს კარგად ატარებდნენ, მაგრამ სტაბილურად მაინც ვერ ასპარეზობდნენ, გამოცდილების შეძენის შემდეგ არც ეს გაუჭირდებათ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათ, დაშნით მოფარიკავეთა გარდა „საკუთარი" შედეგები აჩვენეს, გოგონებმა კი უფრო მეტის გაკეთება შეძლეს — როცა ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მხოლოდ ოთხი სპორტსმენით გამოდიხარ, ფაქტიურად, ბეწვის ხიდზე დგახარ, ჩვენი გოგონები კი ქულებით მხოლოდ მხლით მოფარიკავეებს ჩამორჩნენ.



შესაშური ნებისყოფა გამოავლინეს ჩვენმა მოფარიკავე გოგონებმა. სპარტაკიადაზე მხოლოდ ოთხმა იასპარეზა და, მიუხედავად ამისა, მოპოვებული ქულებით მხოლოდ ხმლით მოფარიკავე ვაჟებს ჩამორჩნენ.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

### ელვა-ინფორმაცია

**მოსკოვში** **საცხენოსნო-სპორტულ კომპლექს „ბიტცაში" დამთავრდა IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენის გაწვრთნაში. გუნდურ პირველობაში ქართველმა მხედრებმა ჯუმბერ კაპანაძემ, გია ქვაჩახიამ და დავით თოფურიამ 4125 ქულა მოაგროვეს და მე-8 ადგილი დაიკავეს. ცხენოსნობის ამ სახეობაში ყველას აჯობეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა — 4465 ქულა. ბელორუსიის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა (4458), ყაზახეთისამ — მესამე (4450).**

## მესაძლებლობის მიჯნაზე

**9 თვით** ადრე ჩვენი რესპუბლიკის ბალახის ჰოკეისტთა მონაწილეობა სპარტაკიადაში სათუო იყო (ცალმა რომ თქვას, მაშინ საქართველოს ნაკრები ოფიციალურად არც არსებობდა). ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ თუ ადრინდელ სპარტაკიადებში თითქმის ყველა ადგილი შესაბამის ქულებს იძლეოდა, წელს ჩასათვლელი ქულები მხოლოდ რვა საუკეთესო კოლექტივს შორის მოხვედრილს ერიცხებოდა, თანაც გასული ორი სპარტაკიადის შედეგებით (X და IX ადგილები) რჩეულთა შორის მოხვედრის იმედი არ გვქონდა, მითუმეტეს, რომ ჩვენს ქვეჯგუფში აღმოჩნდნენ ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის კოლექტივები (მათ წინა სპარტაკიადაზე შესაბამისად მე-2 და მე-5 ადგილები დაიკავეს). მხოლოდ ლიტვის გუნდს თუ გავუმკლავდებოდით, მაგრამ ლიტველებს სპარტაკიადაში არც მიუღიათ მონაწილეობა. იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება. ჩვენი გუნდი ბუნებრივი ბალახის საფარზე თამაშობს ჰოკეის, ეს მაშინ, როცა სპარტაკიადის მონაწილე ყველა გუნდს ხელოვნურსაფარიანი მოედნები აქვთ და „მოთვინიერება" არ დასჭირდათ. კიდევ ერთი: ჩვენი სასპარტაკიადო გუნდი ქუთაისის „ლოკომოტივის" ბაზაზე დაკომპლექტდა (მხოლოდ სამი მოთამაშე დაემატა თბილისიდან) და პირველი ლიგის გუნდისათვის ძნელი იყო უმაღლესი ლიგის კოლექტივების ბაზაზე დაკომპლექტებული ნაკრებების წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად ამისა, ქუთაისის „ლოკომოტივის" უფროსმა მწვრთნელმა თეიმურაზ არჩაიამ რწმენა გამოთქვა, რომ ქართველი ჰოკეისტები ფინალში მოხვდებოდნენ.

როგორც უკვე გაუწყეთ, გუნდმა ამოცანა შეასრულა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და წარმატებით გამხნევებულმა გუნდმა უფრო მაღალი მიჯნის — მე-5 ადგილის დალაშქვრა განიზრახა. უფროს მწვრთნელს თ. არჩაიას ბოლომდე სჯეროდა, რომ უშუალო კონკურენტებთან — ბელორუსიის, მოსკოვისა და ტაჯიკეთის ნაკრებებთან შეხვედრებში შეიძლებოდა წარმატებაზე ეფიქრა. სამწუხაროდ, ბელორუსიის ნაკრებთან შეხვედრაში მსაჯი აშკარად ჩვენს მეტოქეებს მიემხრო. ტაჯიკებს კი ჩვენმა ჰოკეისტებმა მოუგეს. სასპარტაკიადო ტურნირის ბოლო მატჩში მე-6 ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ჩვენს ბიჭებს ფრეც ხელს აძლევდათ. ჩვენი გუნდი მოედანზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა. ბელორუსიის გუნდთან შეხვედრაში მოედნიდან გაძევების გამო არ თამაშობდა ცენტრალური მცველი გუნდის კაპიტანი სოსო მამისეიშვილი. დაშავებულები გამოვიდნენ ნადირ მამედოვი და ავთანდილ ჯანგავაძე.



საქართველოს ბალახის ჰოკეის ვაჟთა ნაკრები გუნდი.

პირველი ბურთი მოსკოველებმა გაიტანეს. მალე გუნდის ბომბარდირმა მერაბ ჭიკაძემ ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ კვლავ მოსკოველები დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მათი გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

მეორე ტაიმში ჩვენებმა უფრო ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს. ერთ-ერთი შეტევის დროს მოსკოველმა მოთამაშემ თავის საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. კვლავ ზუსტი იყო მერაბ ჭიკაძე (ჩვენი გუნდის მიერ გატანილი 10 ბურთიდან 6 მის სახელზეა). შეხვედრის დასასრულამდე 20 წუთზე მეტი იყო დარჩენილი, როცა ჩვენი კარი რამდენჯერმე გადაურჩა გოლს. თუმცა მეტოქის კარიც ბევრჯერ აღმოჩნდა საფრთხეში. საბოლოოდ თამაში ფრედ — 2:2 დამთავრდა და საქართველოს ბალახის ჰოკეისტთა ნაკრებმა სპარტაკიადების ისტორიაში პირველად მე-6 ადგილი დაიკავა და საერთო სასპარტაკიადო ყულაბას 56 ქულა შემატა, 20 ქულით მეტი, ვიდრე დაგეგმილი იყო.

აი, ისინიც, ვინც თავი გამოიჩინა: უფროსი მწვრთნელი თეიმურაზ არჩაია, მწვრთნელი ჭიჭიკო ბაზაძე, მოთამაშეები — მამუკა ჯოჯუა, ავთანდილ კოხრეიძე, ოლეგ ელისეევი, სოსო მამისეიშვილი, ერასტი გოგავა, რამაზ ბიჯიროვი, მერაბ ჭიკაძე, ნადირ მამედოვი, ავთანდილ ჯანგავაძე, ზაზა ჩარკვიანი, კახაბერ ოყრეშიძე, აგასინ კობალიანი, ხვიჩა მჭედლიძე, გია თორდია, გიზო ვაშაკიძე, მამუკა როხვაძე.

**ტექნიკური შედეგები:**

**1. უზბეკეთი; 2. უკრაინა; 3. ყაზახეთი.**

• • •

**ბორისპოლში** (უკრაინის სსრ) 8-10 სექტემბერს ჩატარდა ბალახის ჰოკეისტ ქალთა სასპარტაკიადო ტურნირის წინასწარი შეხვედრები. „ა" ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად იასპარეზეს ლიტვის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდებმა. ლიტველებთან პირველ შეხვედრაში ჩვენი გოგონები დამარცხდნენ ანგარიშით 0:1, შემდეგ ფრედ — 0:0 — ითამაშეს მოლდაველებთან, კვლავ დამარცხდნენ სომხეთის ნაკრებთან — 1:3 და ქვეჯგუფში ასპარეზობა 1 ქულით დაამთავრეს. მომდევნო ეტაპზე ქართველი ჰოკეისტები ტაჯიკეთის გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**11 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

**„არარატი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:0.**
გააფრთხილეს მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელი ზიგმანტოვიჩი.
დუბლიორები — 2:1.

**„ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.**
გააფრთხილეს ლენინგრადელი კანიშჩევი.
დუბლიორები — 2:1.

**„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1 (1:0).** გოლები: ჯავადოვი, აჰმედოვი, ვახაბ-ზადე („ნეფთჩი“), პერეპადენკო („ჩერნომორეცი“).
დუბლიორები — 0:0.

**„ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ 1:1 (1:0).** ანგარიში ვილნიუსელმა პანკრატიევმა გახსნა მე-9 წუთზე, საპასუხო გოლი კი 47-ე წუთზე გაიტანა ჩერენკოვმა.
დუბლიორები — 2:1.

**„შახტიორი“ — „დინამო“ (კიევი) 3:3 (0:2).** კიეველებმა წარმატებით დაიწყეს მატჩი და დაწინაურდნენ კიდეც. პირველი ბურთი მიხაილიჩენკომ გაიტანა 11-მეტრიანით, შემდეგ რაცმა მეორედ აიღო „შახტიორის“ კარი. მესამე გოლი ბესონოვმა გაიტანა 11-მეტრიანით. მასპინძელთაგან კი საუკეთესოდ ითამაშა პეტროვმა, რომელმაც ამ მატჩში „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა. ბოლო ბურთი მან 89-ე წუთზე გაიტანა 11-მეტრიანით.

**„მეტალისტი“ — „დნეპრი“ 1:0 (1:0).** გოლი 44-ე წუთზე გაიტანა ტალკომ.
დუბლიორები — 1:3.

◉ **საკავშირო** ჩემპიონატში 11 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე შესვენებაა, ამ პერიოდში გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ორი ტურის მატჩები. 21 სექტემბერს ქუთაისის ტორპედოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ თბილისის „დინამოს“.

◉ **ჩემპიონატის** დასაწყისიდან დღემდე უმაღლესი ლიგის გათამაშებას რამდენიმე ლიდერი ჰყავდა, ახლა კი ქულათა თანაბარი რაოდენობით—27-27—წინაა ოთხი გუნდი („სპარტაკი“, „ზენიტი“, „შახტიორი“, „დინამო“ მოსკოვი). მათ სულ ერთი ქულით ჩამორჩება თბილისის „დინამო“. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია, რომ დინამოელებმა ბოლო შეხვედრებში მნიშვნელოვნად გამოასწორეს მდგომარეობა, გააძლიერეს თამაში, გარკვეული გადაადგილებები მოახდინეს გუნდში, ახალი ფეხბურთელებიც გამოიყვანეს ძირითად შემადგენლობაში, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. გუნდმა ჩემპიონატის ფინიშზეც სრული შემართებით უნდა ითამაშოს, რათა საბოლოოდ განიმტკიცოს ადგილი წამყვან ჯგუფში. დინამოელებს გააჩნიათ ამ ამოცანის შესრულების პოტენციური შესაძლებლობანი.

◉ **გათამაშების** საუკეთესო ბომბარდირთა შორის 13 გატანილი გოლით წინაა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი ს. როდიონოვი. 12 ბურთი გაიტანა ბაქოელმა მ. აჰმედოვმა, 11 — ო. პროტასოვმა („დნეპრი“).

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 24 | 18 | 3 | 3 | 62-26 | 39 |
| „სპარტაკი“ | 24 | 15 | 5 | 4 | 60-25 | 35 |
| „შახტიორი“ | 24 | 11 | 7 | 6 | 36-27 | 29 |
| „ზენიტი“ | 23 | 10 | 7 | 6 | 39-30 | 27 |
| „ჩერნომორ.“ | 24 | 10 | 7 | 7 | 36-31 | 27 |
| „დინ“. თბ. | 24 | 10 | 6 | 8 | 41-34 | 26 |
| „არარატი“ | 24 | 9 | 5 | 10 | 28-28 | 23 |
| „ჟალგირისი“ | 24 | 9 | 5 | 10 | 28-29 | 23 |
| „მეტალის.“ | 23 | 7 | 9 | 7 | 25-24 | 23 |
| „დინ.“ მნ. | 23 | 6 | 11 | 6 | 27-27 | 23 |
| „დინამო“ მ. | 22 | 8 | 5 | 9 | 29-25 | 21 |
| „დინამო“ კ. | 19 | 7 | 6 | 6 | 26-25 | 20 |
| „ტორპ.“ მ. | 25 | 6 | 7 | 12 | 25-38 | 19 |
| „ქაირათი“ | 24 | 5 | 6 | 13 | 20-48 | 16 |
| „ნეფთჩი“ | 24 | 3 | 7 | 14 | 19-52 | 13 |
| „ტორპ.“ ქ. | 24 | 4 | 4 | 16 | 18-50 | 12 |

# ევროპის საკლუბო თასები

**უახლოეს** ოთხშაბათს, 17 სექტემბერს, იწყება ევროპის 1986-1987 წლების საკლუბო ტურნირები ფეხბურთში ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე. ჩვენი ქვეყნის 5 კლუბი („დინამო“ კიევი, „ტორპედო“ მოსკოვი, „სპარტაკი“ მოსკოვი, „დნეპრი“ დნეპროპეტროვსკი და „დინამო“ მინსკი) მონაწილეობას მიიღებს ამ საინტერესო ტრადიციულ შეჯიბრებებში.

**ჩემპიონთა თასზე** კიევის დინამოელთა პირველი მეტოქეა ბულგარეთის ქალაქ სტარა ზაგორას „ბეროე“. ეს გუნდი პირველად გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი, ამდენად არა აქვს ანალოგიურ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება, არც ამ კლუბის მოთამაშეები შედიან ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებში, რომელიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, მაგრამ, ცხადია, „ბეროე“ სრული შემართებით და მონდომებით იბრძოლებს ისეთ ტიტულოვან მეტოქესთან, როგორიც არის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ორგზის მფლობელი კიევის „დინამო“.

სსრ კავშირის თასის მფლობელი მოსკოვის „ტორპედო“ **თასების მფლობელთა თასის** პირველ მატჩს ჩაატარებს ფინეთის „ჰაკა ვალკეაკოსკისთან“. ფინეთის გუნდებს ევროპის საკლუბო ტურნირებში დიდი წარმატებები არა ჰქონიათ, მაგრამ ფეხბურთმა ამ ქვეყანაში ბოლო წლებში დიდი პროგრესი განიცადა, ამდენად ტორპედოელებს, რომლებსაც საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში საგრძნობი წარუმატებლობანი აქვთ, დაძაბული ბრძოლა მოელით.

**უეფა-ს თასზე** მინსკის დინამოელები უნგრეთის ქალაქ დიერის „რაბა ეტოს“ ხვდებიან. ეს გუნდი დიდი შეუპოვრობით გამოირჩევა, ერთ-ერთი მოწინავეა თავის ქვეყანაში და საერთაშორისო შეხვედრათა საკმაო გამოცდილებაც აქვს.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქეა პოლონეთის ოთხგზის ჩემპიონი და თასის შვიდგზის მფლობელი ვარშავის „ლეგია“. ვარშაველთა გუნდში რეგულარულად გამოდიან პოლონეთის საუკეთესო ფეხბურთელები, ესაა ძლიერი, გამოცდილი, მებრძოლი გუნდი.

მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ ითამაშებს შვეიცარიის „ლიუცერნი“. ეს კლუბი რაიმე მნიშვნელოვანი გამარჯვებებით არ გამოირჩევა ევროპულ სარბიელზე, მაგრამ ცალკეულ მატჩებში მას შეუძლია მობილიზება და გამარჯვებისთვის ბრძოლა. კერძოდ, აღსანიშნავია „ლიუცერნის“ ამასწინანდელი გამარჯვება უნგრეთის ცნობილ კლუბ „ფერენცვაროშთან“.

კიევის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, მოსკოვის „სპარტაკი“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ პირველ მატჩებს სტუმრად ჩაატარებენ, მინსკის დინამოელები კი შინ მიიღებენ უნგრელ ფეხბურთელებს.

## საპატიო სტუმრები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა საინსპექციო მოგზაურობა ჩაატარა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. იგი ეწვია სალვადორს, ჰონდურასსა და ნიკარაგუას. ამ მოგზაურობაში მას ახლდა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მექსიკელი გილერმო კანედო.

სტუმრებმა მოინახულეს უმაღლესი ლიგის კლუბები, დაესწრნენ მათ ვარჯიშებს, ოფიციალურ თამაშს, ესაუბრნენ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს და მათ ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

პრესის აზრით პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტმა ადგილობრივ ფეხბურთს გარკვეული სარგებლობა მოუტანა, განსაკუთრებით მორალური თვალსაზრისით.

# უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ

**გაზეთ „ლელოს“ 1986 წლის 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა დოცენტ რომანოზ სვანიშვილის წერილი სათაურით „დღის წესრიგშია სპორტსმენის გაწვრთნილობის პრობლემა“. ვსარგებლობ რედაქციის მიერ მონიჭებული უფლებით და მსურს ჩემი აზრი გამოვთქვა ამ წერილზე.**

წერილის წაკითხვის შემდეგ იქმნება გაურკვევლობა — გაურკვეველია ვისთვის დაიწერა იგი; გაურკვეველია, რატომ ეთმობა წერილის მეოთხედი იმის ჩამოთვლას, თუ როგორ არ უნდა ხდებოდეს გაწვრთნილობის დადგენა, და ბოლოს გაურკვეველია რატომ არ პასუხობს ავტორი მის მიერვე დასმულ კითხვას? — „მაინც როგორ უნდა მოხდეს სპორტსმენის გაწვრთნილობის დადგენა?“ როგორც ავტორი აღნიშნავს, თუ „მარტო საექიმო გამოკვლევებით შეუძლებელია სპორტსმენის გაწვრთნილობის დონის დადგენა“, მაშინ რა აზრი ჰქონდა ამ პრობლემის წამოჭრას სპორტული მედიცინის სპეციალისტის მიერ? გაწვრთნილობის დონის დადგენა მართლაც სცდება მარტო სპორტული მედიცინის სპეციალისტის კომპეტენციას, ამიტომ თუ სვანიშვილს სურდა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა შემოფარგლულიყო გაწვრთნილობის მხოლოდ სამედიცინო ასპექტით და მასთან დაკავშირებული პრობლემებით.

გაზეთ „ლელოში“ უკვე მერამდენედ გამოქვეყნდა წერილი, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ჩატარდეს სპორტსმენის გაღრმავებული საექიმო შემოწმება. როგორც ჩანს, ამ წერილების ავტორები არ იცნობენ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებას (№ 986 04.11.77) და ამ ბრძანების საფუძველზე შედგენილ საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების წევრთა გაღრმავებულ სამედიცინო შემოწმების პროგრამას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულია საქართველოს სპორტკომიტეტთან (23.02.83). ამიტომ ვფიქრობ არ ღირდა გაზეთ „ლელოს“ მოცდენა, მითუმეტეს, რომ რ. სვანიშვილი საკითხის განხილვისას ვერ იცავს თანმიმდევრობას, არ იძლევა ამომწურავ პასუხს, ყოვლად გაუმართლებლად გვირჩევს სპორტსმენთა სამედიცინო შემოწმების დროს გავითვალისწინოთ აკადემიკოს მ. ხანანაშვილის მიერ დადგენილი „ინფორმაციული ნევროზი“. ცნობილია, რომ ე. წ. „ინფორმაციული ნევროზი“ განპირობებულია ტრიადით (დიდი მოცულობის ანალიტიკურ-სინთეზური ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას, დროის ქრონიკული დეფიციტი და მოტივაციის მაღალი დონე), რომლის მოქმედებას განიცდიან უმთავრესად ხელმძღვანელი ადამიანები და ინტელექტუალური სფეროს მუშაკები, რთული ტექნოლოგიური პროცესების ოპერატორები. სპორტსმენებშიც ვხვდებით გადაწვრთნის შემთხვევებს, რაც საერთო ნევროზის გამოვლინებად ითვლება და ზოგ შემთხვევაში იგი განპირობებულია დიდი ფიზიკური და გონებრივი მუშაობის დამთხვევით (მაგ. გამოცდებისათვის მზადების პერიოდში), მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ამასთან ამ დაავადების დადგენა გაღრმავებული საექიმო შემოწმების დროს კი არ ხდება, არამედ ავადმყოფები თავად მიმართავენ ექიმებს ჩივილებით.

მიგვითითებს რა სპორტსმენებში პათოლოგიური მოვლენების დროულად გამოვლინებისა და სათანადო მკურნალობის ჩატარების უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე, რ. სვანიშვილი აღნიშნავს: „ამ მხრივ ქ. თბილისის დისპანსერებმა ვერ მიაღწიეს იმ დონეს, რითაც გამოირჩევიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები“, რომ „ჩვენი რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებში და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ძირითადად სპორტულ ტრავმებს მკურნალობენ, სპორტულ პათოლოგიას კი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ“. ამის პასუხად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ქ. თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობის შედეგები. 1985 წლის განმავლობაში დისპანსერში სათანადო გასინჯვის შედეგად გამოვლინდა 5620 სხვადასხვა სახის გადახრა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან. აქედან მკურნალობას ექვემდებარებოდა 4617 პაციენტი. ადგილზე, ე. ი. დისპანსერში იმკურნალა 3078-მა სპორტსმენმა, იმავე პერიოდში მკურნალობა ჩაუტარდა მხოლოდ 148 დაშავებულ სპორტსმენს. განა ეს მონაცემები ნათლად არ ადასტურებს რ. სვანიშვილის მტკიცების უსაფუძვლობას?

რ. სვანიშვილის შეხედულებით, ჩვენთან თურმე „მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების დროს მწვრთნელები და ექიმები ერთობლივად არ მუშაობენ, ჩვენი მწვრთნელებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული საექიმო გამოკვლევების მონაცემებით“. ეს მაშინ, როცა საქართველოს სპორტულ ნაკრებ გუნდებზე საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური და ქალაქის № 1 დისპანსერების, სპორტული ბაზებისა და ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან მიმაგრებულია კვალიფიციური ექიმები. ამ გუნდების არც ერთი მწვრთნელი არ ატარებს საწვრთნელ შეცადინეობას და შეკრებას ექიმის გარეშე.

სპორტსმენის შერჩევის პრობლემაზე საუბრისას, ნაცვლად იმისა, რომ თანმიმდევრულად იმსჯელოს დასმულ პრობლემაზე, ავტორი გვთავაზობს ეთიოპიელი მარათონელების და ბრაზილიელი ფეხბურთელების მაგალითს. მისი აზრით, ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე იზრდებოდნენ პელე, გარინჩა, ფალკაო, სოკრატესი, ბიკილა, იფტერი და სხვები. ნუთუ რ. სვანიშვილმა არ იცის, რომ მართალია, კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, მაგრამ სპორტული კლუბების მესვეურებს ჰყავთ ექიმი-კლინიცისტები, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს მათი წვრთნა. საერთო და სპორტული რეჟიმის დარღვევისას სპორტსმენი მკაცრად ისჯება და იხდის ფულად ჯარიმას.

წერილის ავტორი მოგვიწოდებს: „დადგა დრო რადიკალური ცვლილება მოხდეს როგორც მწვრთნელთა, ისე სპორტსმენებთან მომუშავე ექიმთა კადრების მომზადების საქმეში. ფიზკულტურის ინსტიტუტში უნდა ამაღლდეს მომავალ მწვრთნელთა სამედიცინო-ბიოლოგიური ცოდნის დონე, დახელოვნების ფაკულტეტზე კი მწვრთნელები წვრთნის თანამედროვე მეთოდებს გაეცნონ. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა სამედიცინო ინსტიტუტში“. აქ მეგონა, რომ სვანიშვილი იმ კათედრის ნაკლოვან მხარეებსაც აღნიშნავდა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს, მაგრამ არა, როგორც ჩანს, კათედრაზე ყველაფერი რიგზეა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ცნობისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რ. სვანიშვილის ამ მოწოდებამ სულ ცოტა 2 წლით დაიგვიანა. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში უკვე ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად დაიწყო ის რადიკალური გარდაქმნები, რაზეც რ. სვანიშვილი გვესაუბრება, და უკვე მოსავალს ვიმკით. ამაში დარწმუნდნენ ისინი, ვინც ამ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებს დაესწრო და ისინიც, ვინც ამ ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა დახელოვნების კურსების საქმიანობას გაეცნო. ბოლო 2 წლის მანძილზე დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობას და შედეგმაც არ დააყოვნა. ინსტიტუტის სტუდენტები იმარჯვებენ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, მაგალითად, სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე ბრინჯაოს მედლით აღინიშნა ამ ინსტიტუტის სტუდენტის სამედიცინო თემაზე შესრულებული ნაშრომი.

არ შეიძლება არ დაეთანხმო რ. სვანიშვილის იმ წინადადებებს, რომლებიც შეეხება სამედიცინო ინსტიტუტში სპორტული მედიცინის სპეციალისტების მომზადების საკითხს. ინსტიტუტის შესაბამის კათედრებს მეტი მუშაობა მართებთ, რათა მომავალ ექიმებს გაუღვივოთ ინტერესი სპორტული მედიცინისადმი. საჭიროა გამოინახოს მატერიალური საშუალება დაინტერესებისათვის.

რ. სვანიშვილი მოგვიწოდებს: „ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრამ მნიშვნელოვნად უნდა გარდაქმნას მსმენელთა მომზადება სპორტულ მედიცინაში და სწავლება აქ სპორტულ მედიცინასა და სამკურნალო ფიზკულტურაში ცალ-ცალკე უნდა მოხდეს, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის სხვა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებშია“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხსენებული კათედრა არის თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საბაზო კათედრა, სადაც 14 წელზე მეტია დანერგილია სწავლების პროგრესული მეთოდები, იქ ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნიკა: ელექტროგამომთვლელი მანქანა „დისპლეით“, „სასწავლო კლასი“, და სხვა. სწორედ ამიტომ, საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით, 1982 წელს აქ პროფესორ-მასწავლებლებისათვის ჩატარდა კვალიფიკაციის ამაღლების თემატიკური ციკლი, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა. რაც შეეხება სამკურნალო ფიზკულტურასა და სპორტულ მედიცინაში ციკლების ცალ-ცალკე ჩატარებას, ცნობილია, რომ დახელოვნების ინსტიტუტებში და მათ შორის თბილისის ინსტიტუტში იგი მხოლოდ უნიფიცირებული პროგრამით წარმოებს. ზოგადი სპეციალიზაციისა და დახელოვნების განყოფილებებზე ორივე საგანი ერთად ისწავლება, თემატიკურ მოკლევადიან ციკლებში კი — ცალ-ცალკე. მათი ჩატარების ვადები და სიხშირე რეგულირდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, მათივე მოთხოვნების შესაბამისად.

ბოლოს რ. სვანიშვილი გვირჩევს „...ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებმა, სპორტში მომუშავე ექიმებმა, ბიოლოგებმა, ფსიქოლოგებმა და სხვა სპეციალისტებმა თვალსაჩინოდ უნდა გარდაქმნან სპორტსმენთა მომზადების დონე“. თუ იგი სპორტსმენთა გაწვრთნილობის დონის ამაღლებას გულისხმობს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯი ამ მიმართულებით. სახკომსპორტთან შექმნილია საქართველოს წამყვან სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური და მედიკო-ბიოლოგიური უზრუნველყოფის საორგანიზაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები და სპორტული მედიცინის სპეციალისტები. საბჭო უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ამ წინადადებას უმალ გამოეხმაურა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო, რკინიგზის საავადმყოფოში, კარდიოლოგიისა და ნევროლოგიის საკვლევ სამეცნიერო ინსტიტუტებში პერსპექტიული სპორტსმენები რეგულარულად გაივლიან სტაციონარულ გამოკვლევებს თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით; შემუშავდება რეკომენდაციები საწვრთნო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

ამხ. რ. სვანიშვილი რწმენას გამოთქვამს, რომ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის რესპუბლიკური ცენტრი გარკვეულწილად შეუწყობს ხელს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, დიახ, ამაში იგი მართალია, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ცენტრის შექმნის შესახებ ჯერჯერობით არავითარი დოკუმენტი არ არსებობს.

ცხადია მცირე მოცულობის წერილში სპორტში არსებულ ყველა პრობლემას, თუნდაც სპორტულ მედიცინის ყველა პრობლემას ვერ შეეხები. დიახ, სპორტული მედიცინა ვალშია სპორტის წინაშე. მხოლოდ საჭიროა უფრო ღრმად ჩავიხედოთ ყოველი პრობლემის არსში, გამოვავლინოთ ის ობიექტური მიზეზები, რომლებიც ხელს გვიშლის მათ გადაწყვეტაში.

რ. სვანიშვილი ლაპარაკობს საქმიანობის გარდაქმნის აუცილებლობაზე. დიახ, დღეს გარდაქმნა ყველა სფეროში საჭიროა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რას მოგვიტანს ეს გარდაქმნა და რით უნდა დავიწყოთ იგი.

**ოთარ ვირუხოვი,**
**თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი სამკურნალო ფიზკულტურასა და სპორტულ მედიცინაში, დოცენტი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ოცდამეექვსე სტარტი

**კრასნოდარსა და ასტრახანში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა XXVI საკავშირო ჩემპიონატი.**

კრასნოდარში პირველი ტურის მატჩებს შემდეგი კოლექტივები ატარებენ: ასკ (მინსკი), მაი (მოსკოვი), „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი), სპი (თბილისი), სპორტკლუბი (ტირასპოლი) და სკიფ (კრასნოდარი). ასტრახანის ჯგუფში გამოდიან: ადგილობრივი „ზარია", ცსკა, „გრანიტასი" (კაუნასი), „ნევა" (ლენინგრადი), ასკ (კიევი) და ზიი (ზაპოროჟიე).

ისევე როგორც შარშან, ჩემპიონატში 12 გუნდი მონაწილეობს. ტურნირის პირველ ეტაპზე, რომელიც ოთხ ტურს მოიცავს, მეტოქეები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან. შემდეგ გამოვლინდება ფინალისტთა ექვსეული, რომელიც ასევე ორ წრედ, XXVI ჩემპიონატის საპრიზო ადგილებს გაინაწილებს.

# ჯერ ყველაფერი წინ არის

**ბევრი** მიმომხილველი თვლის, რომ კასპაროვ — კარპოვის მატჩ-რევანში პარტიების ხარისხით აშკარად მაღლა დგას მათს წინა მატჩებზე. კვლავინდებურად აღტაცებას იწვევს მე-11 პარტია, რომელსაც „უხილავი რეჟისორის" მიერ ბრწყინვალედ დადგმულ სპექტაკლს ადარებენ. ზოგი მას უაღრესად საინტერესო სათავგადასავლო ფილმს უწოდებს. ექსპერტების აზრით, კასპაროვმა დიდი გონებამახვილობა გამოავლინა, როცა მეტად მძიმე პოზიცია გადაარჩინა. საინტერესოა, რომ კარპოვი უკმაყოფილოა თავისი თამაშით მეშვიდე პარტიაშიც, სადაც დიდი პოზიციური უპირატესობა ვერ გამოიყენა. აი, რა განუცხადა მან თავის პრესატაშეს, ცნობილ იუგოსლაველ მიმომხილველ დიმიტრიე ბელიცას:

— თქმა არ უნდა, სუსტად ვითამაშე. ულფ ანდერსონს ასეთი პოზიცია, სულ ცოტა, ასჯერ მაინც აქვს მოგებული.

თუ ისევ მე-11 პარტიას დავუბრუნდებით, უნდა გავეცნოთ ინგლისის ტელევიზიის მიმომხილველის, დიდოსტატ ჯონ ნანის აზრს:

— ეს პარტია ნამდვილი საოცრება იყო. ის, რომ შეხვედრა მაინც ყაიმით დასრულდა, რა თქმა უნდა, არც კარპოვის ბრალია და არც კასპაროვისა. მათ ყველა შესაძლებლობა ამოწურეს. ეს ყაიმი გაცილებით უფრო ძვირად ფასობს,

**გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანშის ირგვლივ**

●

ვიდრე ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება.

დიდოსტატმა ალექსეი სუეტინმა ინგლისელ კორესპონდენტებთან საუბარში ეს პარტია ორი უძლიერესი მოკრივის შეხვედრას შეადარა.

მატჩის პირველ ნახევარს ესწრებოდა ცნობილი შვედი დიდოსტატი ქალი პია კრამლინგი, მან აღტაცება გამოთქვა მე-11 პარტიით და მომდევნო შეხვედრის საკმაოდ მშვიდად, ზავით დამთავრება სავსებით ბუნებრივად მიიჩნია — იმ მძაფრი ბრძოლის შემდეგ მეტოქეებს ერთგვარი შესვენება სჭირდებოდათო. პიამ თქვა, რომ იგი კასპაროვის გულშემატკივარია (სხვათა შორის, ისინი ასაკით ტოლები არიან.)

ბევრი ექსპერტი დიდ ინტერესს იჩენს მეტოქეთა სადებიუტო რეპერტუარისადმი. მათი აზრით, ამჯერად კარპოვს ისე აღარ უჭირს შავებით თამაში, როგორც წინა მატჩში. თეორიულად იგი ახლა გაცილებით უკეთ არის მომზადებული. საერთაშორისო ოსტატი რაინჰარტ ფუქსი, რომლის მიმოხილვებს სისტემატურად აქვეყნებს ბერლინის „დოიჩე შპორტეხო", კასპაროვის სეკუნდანტებს დიდ დამსახურებად უთვლის გრიუნფელდის დაცვაზე ყურადღების გამახვილებას. ამ დინამიკური მძაფრი დებიუტის სრულიად მოულოდნელად გამოყენებით (დიდოსტატთა წინა 75 პარტიაში გრიუნფელდის დაცვა ერთხელაც არ შეგვხვედრია). კასპაროვის „შტაბმა" მსოფლიოს ექსჩემპიონს არაერთი საგულდაგულოდ დამუშავებული ვარიანტის გამოყენების საშუალება მოუსპო. კარპოვი პარტიებს სისტემატურად ლაზიერის წინა პაიკით იმიტომ იწყებს, რომ მეტოქეს სიცილიური დაცვის გამოყენების საშუალება არ მისცეს. როგორც წინა მატჩმა გვიჩვენა, კასპაროვი სიცილიურ დაცვას ვირტუოზულად თამაშობს და არ ღირს მასთან ამ დებიუტში შეჯიბრება.

კასპაროვმა და კარპოვმა ჯერ კიდევ ლონდონში მიიღეს მიწვევა ტილბურგის (ჰოლანდია) სუპერტურნირზე, რომელიც ოქტომბრის მეორე ნახევარში უნდა გაიმართოს მსოფლიოს რვა უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით (ორ წრედ). თუმცა ჩემპიონსა და ექსჩემპიონს ჯერჯერობით უარი არ უთქვამთ, მათი გამოსვლა ტილბურგში მიმომხილველებს საეჭვოდ მიაჩნიათ. საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე თამაში კი ორივე დიდოსტატს სურს. შეჯიბრება დაიწყება 13 ნოემბერს არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ დუბაიში.

# დარჩა გადამწყვეტი მატჩები

**პრაღა.** ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჩინეთისა და კუბის სპორტსმენები ითამაშებენ. ჩინელებმა ნახევარფინალში პერუს ნაკრები დაამარცხეს — 3:0, თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებმა კი გდრ-ის გუნდი — 3:1.

ოსტრავაში სსრ კავშირის ნაკრებმა სამხრეთ კორეის გუნდს აჯობა (3:0) და ახლა მეხუთე ადგილისათვის იბრძოლებს. მისი მეტოქე, ამჯერად, ბრაზილიის ნაკრები იქნება, რომელმაც მანამდე იაპონელი ფრენბურთელები დაამარცხა — 3:1.

## „გრან პრის" ლაურეატები

**რომი.** მსოფლიოს უძლიერესმა მძლეოსნებმა დაამთავრეს „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. იტალიის დედაქალაქში დასკვნით ასპარეზობაში ოთხმა საბჭოთა სპორტსმენმა პირველი ადგილი დაიკავა: სერგეი ლიტვინოვმა — უროს ტყორცნაში (84,88 მ), იგორ პაკლინმა — სიმაღლეზე ხტომაში (234 სმ), ტატიანა სამოილენკომ — 1500 მ რბენაში (4.02,71), ოლგა ბონდარენკომ — 5 კილომეტრზე რბენაში 15.16,84).

„გრან პრის" მთავარი ლაურეატები (ქულების მაქსიმალური რაოდენობით) გახდნენ: ქალთა შორის — იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი), ვაჟებში — საიდ აუიტა (მაროკო).

# ცოტაც და საათები ჩაირთვება

**ცნობილი** გახდა, რომ სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 54-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირები 9 ოქტომბერს დაიწყება ირკუტსკსა და კუიბიშევში და 5 ნოემბრამდე გასტანს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — საერთაშორისო ოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი და ელიზბარ უბილავა ქალაქ კუიბიშევში ითამაშებენ. აქ მათი მეტოქეები იქნებიან იოსებ დორფმანი, ანდრია მიხალჩიშინი (ორივე — ლვოვი), ვიქტორ კუპრეიჩიკი (მინსკი), სერგეი მაკარიჩევი (მოსკოვი), ნაუმ რაშკოვსკი (ალმა-ათა), ევგენი სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), სსრ კავშირის დიდოსტატები მიხეილ გურევიჩი (ხარკოვი), კონსტანტინ ლერნერი (ოდესა), საერთაშორისო ოსტატები: იან ელვესტი (ტალინი), ლეონიდ იუდასინი, ოსტატები ალექსეი ერმოლინსკი, ალექსანდრე ხალიფმანი (ყველა — ლენინგრადი), იგორ ნოვიკოვი (ხარკოვი), ლემბიტ ოლი (ტალინი) და ანდრეი ხუზმანი (ლვოვი).

თითოეული ტურნირიდან უმაღლესი ლიგის ტურნირის (მინსკი; მარტი, 1987 წ.) საგზურს ოთხ-ოთხი მოჭადრაკე მიიღებს.

ამავე რიცხვებში — 9.X-5. XI — ფრუნზეში სტარტს აიღებს სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ამ შეჯიბრებაში I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საზონათაშორისო ტურნირის საგზურებს მიიღებენ.

ფრუნზეში ითამაშებენ საერთაშორისო დიდოსტატები ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი (ორივე — თბილისი), ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), მარტა ლიტინსკაია (ლვოვი), ლიდია სემიონოვა (კიევი), საერთაშორისო ოსტატი ქეთევან არახამია (თბილისი), ლიუდმილა ზაიცევა (მოსკოვის ოლქი), ზოია ლელჩუკი (ლვოვი), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), ლარისა მუჩნიკი (ნიკოლაევი), გულნარა სახატოვა, ფლორა უსკოვა-ჰასანოვა (ორივე — ალმა-ათა), ოსტატები ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი), კამილე ბაგინსკაიტე (ვილნიუსი), ტატიანა ვორონოვა (რიგა), სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო) და ნატალია რუჩიოვა (სევასტოპოლი).

# ტრეკზე და გზატკეცილზე

**მოსკოვში** დაიწყო სტუდენტ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ეს საინტერესო შეჯიბრება ტარდება როგორც სატრეკო, ისე საგზატკეცილო სახეობებში. კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე დიდ წარმატებას მიაღწია ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა. 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.33,300. ძველი მიღწევა კლაიპედელ გინტაუტას უმარასს ეკუთვნოდა (4.34,103) და ამავე ტრეკზე მიმდინარე წლის თებერვალში იყო ნაჩვენები.

1000 მეტრზე გიტში ყველას 18 წლის აშხაბადელმა სტუდენტმა ვლადიმერ სულთანოვმა აჯობა — 1.04,736. უნდა აღინიშნოს, რომ სულთანოვმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში არც ისე კარგად გამოვიდა, წლეულს ერთი დიდი გამარჯვება უკვე მოიპოვა — ამ სახეობაში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო.

საგზატკეცილო რბოლის ოსტატებმა პირველობა 100-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში გაითამაშეს. ფინიშთან ყველაზე ადრე საბჭოთა ველოსიპედისტები მიიჭრნენ — 2:09.05,75. მომდევნო ადგილზე ჰოლანდიისა და იტალიის წარმომადგენლები გავიდნენ.



## დღეს,

**თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება თბილისის დიდი „სტიპლ-ჩეზის" მეორე ეტაპის შეჯიბრებები. მონაწილეობენ სომხეთის, აზერბაიჯანის, როსტოვის ოლქისა და საქართველოს უძლიერესი მხედრები.**

იმუშავებს ტოტალიზატორი, გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ, ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

დასაწყისი 12 საათზე.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 7 სექტემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 36-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** გაიყიდა 715 699 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 1314 მანეთია, 4-ისთვის (2163) — 29, 3-ისთვის (35765) — 3.

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** გაიყიდა 5 347 788 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, 4-ისთვის (3865) — 151, 3-ისთვის (112479) — 7.

36 ტირაჟებისა და 10-ტირაჟიანი (27-დან 36-ის ჩათვლით) ბარათების მოგებების განაღდება 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

საქართველოს პირველობა

**მომავალ შაბათ-კვირას იწყება რესპუბლიკის ფეხბურთის ჩემპიონატის მეორე ეტაპის თამაშები, სადაც ერთმანეთს ეცილებიან I-XII და XIII-XXIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები.**

**გთავაზობთ ამ ეტაპის პირველი ტურის კალენდარს:**

**I-XII ადგილები**

**20 სექტემბერი**

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „დინამო" (ზუგდიდი) — „იბერია" (ხაშური), „არმაზი" (მცხეთა) — „სულორი" (ვანი).

**21 სექტემბერი**

„ეგრისი" (ცხაკაია) — „მადნეული" (ბოლნისი), „კახეთი" (თელავი) — „ამირანი" (ოჩამჩირე), „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „შადრევანი" (წყალტუბო).

**XIII-XXIII ადგილები**

**20 სექტემბერი**

„იმედი" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი), „დურუჯი" (ყვარელი) — „დინამო" (გაგრა), „იმერეთი" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი).

**21 სექტემბერი**

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა), „მერცხალი" (მახარაძე) — „ქართლი" (გორის რაიონი), თერჯოლის „საპოვნელა" თავისუფალია.

# თქვენი სვლაა

**ამოცანა**

**ი. ივერსენი (დანია)**

**1905 წ.**



**შამათი სამ სვლაში**

„ლელოს" 10 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი ო. ვიურცბერგის ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. ეa2.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 14 **სექტემბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის: ფინალი — **15.00 (1);** საფეხბურთო მიმოხილვა—**23.10 (1).**

**15 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00 (1)** და **24.00 (1).**

**საქართველოს ტელევიზია.** 14 **სექტემბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10.**

**15 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00** და **24.00.**

**საქართველოს რადიო.** 14 **სექტემბერი.** რადიოჟურნალი: „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** ხამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612